საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N234 2026 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ზოგიერთი იურიდიული პირისათვის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე

1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლისა და „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, მიეცეთ თანხმობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ:

ა) სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არაუმეტეს 200 ერთეულით, მათ შორის, 30 ერთეულით – დამხმარე ამოცანების შესასრულებლად და 170 ერთეულით – არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად;

ბ) სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არაუმეტეს 1935 ერთეულით, მათ შორის, 85 ერთეულით – დამხმარე ამოცანების შესასრულებლად და 1850 ერთეულით – არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად;

გ) სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არაუმეტეს 390 ერთეულით, მათ შორის, 375 ერთეულით – დამხმარე ამოცანების და 15 ერთეულით – არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად;

დ) სსიპ – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნულ ცენტრს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არაუმეტეს 44 ერთეულით, მათ შორის, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად – 20 ერთეულით, ხოლო არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად – 24 ერთეულით;

ე) სსიპ – ახალგაზრდობის სააგენტოს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს 97 ერთეულით, მათ შორის, 55 ერთეულით – დამხმარე ამოცანების შესასრულებლად, 31 ერთეულით – არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად, დონორი ორგანიზაციებისგან დაფინანსებული პროექტების ფარგლებში 7 ერთეულით – დამხმარე ამოცანების შესასრულებლად და 4 ერთეულით – არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად;

ვ) სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არაუმეტეს 1430 ერთეულით, მათ შორის, 290 ერთეულით – დამხმარე ამოცანების და 1140 ერთეულით – არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად.

ზ) სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არაუმეტეს 151 ერთეულით, მათ შორის, არამუდმივი ამოცანების

შესასრულებლად – 123 ერთეულით, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად – 10 ერთეულით და დონორი ორგანიზაციებისგან დაფინანსებული პროექტის ფარგლებში – 18 ერთეულით;

თ) სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს 1503 ერთეულით, მათ შორის, 1463 ერთეულით – დამხმარე ამოცანების და 40 ერთეულით – არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად;

ი) სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არაუმეტეს 2244 ერთეულით;

კ) ა(ა)იპ – პროფესიული უნარების სააგენტოს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არაუმეტეს 13 ერთეულით, ხოლო დონორი ორგანიზაციის დაფინანსებული პროექტების ფარგლებში – 20 ერთეულით, ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2026 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**